ლევ შესტოვი

Лев Шестов

ათენი და იერუსალიმი

Афины и Иерусалим

თარგმანი რუსული ენიდან
ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „iBooks“
თბილისი / 2024

Writers' House of Georgia

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით

თარგმნილია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Лев Шестов, Сочинения в 2-х томах, ТОМ 1
Москва, Издательство «НАУКА», 1993

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი

გამომცემლობა „iBooks“, 2024

© გამომცემლობა „iBooks“

ISBN 978-9941-8-7230-3

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა....4
წინასიტყვაობა....7
პირველი ნაწილი.
მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებათა წყაროების შესახებ....35
(შებორკილი პარმენიდე)....35
მეორე ნაწილი.
ფალარისის ხარში....129
(ცოდნა და ნების თავისუფლება)....129
მესამე ნაწილი.
შუა საუკუნეების ფილოსოფიის შესახებ....259
(Concupiscentia irresistibilis)....259
(დაუძლეველი სწრაფვა)....259
მეოთხე ნაწილი.
აზროვნების მეორე განზომილების შესახებ....390
(ბრძოლა და გონებაჭვრეტა)....390

ფილოსოფოსები და თეოლოგები ორ ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ებრძოდნენ შეურიგებელ წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, ბერძნულ ლოგიკასა და რაციონალურობას (ათენი) და რწმენას, მისტიკას, ბიბლიურ გამოცხადებას (იერუსალიმი) შორის. შესტოვი ნაშრომს „ათენი და იერუსალიმი“ უკვე ემიგრაციაში წერდა, როდესაც იძულებული გახდა, რევოლუციის შემდეგ სამშობლო დაეტოვებინა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს იყო მისი ბოლო წიგნი, რომელიც ბუნებრივად აჯამებდა მის მთელ ფილოსოფიურ მოღვაწეობას. ეს არის მოაზროვნის ესეებისა და სტატიების კრებული, რომელიც დაწერილია მის მიერ 10 წლის განმავლობაში. ეს ტექსტები ერთი ყდის ქვეშ იმ მიზეზით გაერთიანდა, რომ ასე თუ ისე ერთსა და იმავე პრობლემას – რწმენისა და გონების, ირაციონალურისა და რაციონალურის დამოკიდებულებას – განიხილავს. წიგნის სათაური აღებულია სტატიიდან, რომელშიც ეს ანტინომია განიხილება ბერძნული რაციონალური ფილოსოფიური ტრადიციისა და ბიბლიური მისტიკის დაპირისპირების პრიზმაში. ამ ნაშრომში ლევ შესტოვი, XX საუკუნის ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ანტიკური სიბრძნის ამ სიმბოლურ პოლუსებს შორის დაპირისპირებას თავის ფილოსოფიურ ანდერძად აქცევს.

ეს პრობლემა საუკუნეების განმავლობაში აწუხებდა ფილოსოფოსებსაც და თეოლოგებსაც, მათ შორის, ტერტულიანეს, რომელმაც იგი გამოთქვა ცნობილი ფრაზით Quid ergo Athenis et Hierosolimis („რა საერთო აქვს ათენსა და იერუსალიმს?“) შესტოვს

Quid ergo Athenis et Hierosolimis[1]

ტერტულიანე

წინასიტყვაობა

Μέγιστον ἀγαθὸν ὂν ανθρώπῳ τουῦτο, έκάστης ήμέρας περι άρετῆς τοὺς λόγους ποιεῖσθαι.

კაცისათვის უდიდესი სიკეთეა საუბარი სიქველისა და ყოველივე იმის შესახებ, რაზედაც ყოველდღე გესაუბრებით.

პლატონი, სოკრატეს აპოლოგია, 38ა

ყოველივე ის, რაც რწმენით არ არის, ცოდვაა.

პავლე, რომ. 14:23

I

წინასიტყვაობა, არსებითად, ყოველთვის ბოლოსიტყვაობაა. წიგნი დიდხანს იწერებოდა, ის დასრულებულია – წინასიტყვაობა ცდილობს, შედარებით მცირე რაოდენობის სიტყვებით გამოხატოს ის, რაც ავტორის აზრებს წლების განმავლობაში მიმართულებას აძლევდა.

„ათენი და იერუსალიმი“ და „რელიგიური ფილოსოფია“ თითქმის ტოლმნიშვნელოვანი და ერთმანეთის გადამფარავი გამოთქმებია, ამასთან ერთად კი თანაბრად გამოუცნობია და თავისი შინაგანი წინააღმდეგობით თანამედროვე აზრს აღიზიანებს. შემდეგი დილემის დაყენება უფრო სწორი ხომ არ იქნება: ათენი თუ იერუსალიმი, რელიგია თუ ფილოსოფია? თუ ისტორიის სამსჯავროს მივმართავთ, პასუხი

1. რა საერთო აქვს ათენსა და იერუსალიმს? (ლათ.).

განსაზღვრული იქნება: ისტორია გვეტყვის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანური სულის საუკეთესო წარმომადგენლები საკუთარი თავიდან შორს დევნიდნენ იერუსალიმისთვის ათენის დაპირისპირებას, ყოველთვის მხურვალედ უჭერდნენ მხარს „და“-ს და ჯიუტად თრგუნავდნენ „თუ“-ს. იერუსალიმი ათენთან, რელიგია კი ფილოსოფიასთან ერთად მშვიდობიანად თანაარსებობდა, ადამიანები კი ამ სამყაროში თავიანთი სანუკვარი, განხორციელებული და განუხორციელებელი ოცნებების საწინდარს ხედავდნენ.

მაგრამ შეიძლება კი ისტორიის სამსჯავროზე დაყრდნობა? ხომ არ არის ისტორია ის უსამართლო მსაჯული, რომელსაც, რუსი მოგზაურების გადმოცემათა თანახმად, წარმართულ ქვეყნებში მოკამათეები იძულებით მიმართავენ? რით ხელმძღვანელობს ისტორია თავის განაჩენებში? ისტორიკოსებს სურთ, იფიქრონ, რომ ისინი სრულებითაც არ „განსჯიან“, რომ ისინი მხოლოდ მოგვითხრობენ „იმას, რაც იყო“, წარსულიდან გამოაქვთ და ჩვენ წინაშე ათავსებენ დავიწყებულ და დროში დაკარგულ „ფაქტებს“, ხოლო სამსჯავრო მათგან კი არ მოდის, არამედ ის თავისთავად ხდება, ან თვით ფაქტები ატარებს საკუთარ თავში სამსჯავროს. აქ ისტორიკოსები არ განსხვავდებიან და არ სურთ, რომ განსხვავდებოდნენ სხვა პოზიტიურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისგან: ფაქტი მათთვის უკანასკნელი, გადამწყვეტი, საბოლოო ინსტანციაა, რომლის შემდეგ აპელირებას ვეღარსად შეძლებ. მრავალი ფილოსოფოსი, განსაკუთრებით, უახლესთა რიგიდან, ფაქტით ნაკლებად არ არის ჰიპნოზირებული, ვიდრე პოზიტიური მეცნიერი. მათ რომ მოუსმინო, ფაქტი უკვე წარმოადგენს ჭეშმარიტებას. მაგრამ რა არის ფაქტი? როგორ განვასხვაოთ ფაქტი გამონაგონის ან წარმოსახვისგან? ისიც მართალია, რომ ფილოსოფოსები ანგარიშს უწევენ ჰალუცინაციის, მირაჟის, სიზმრის ფანტასტიკის და ა.შ. შესაძლებლობას. და მაინც, მცირედნი თუ აცნობიერებენ, რომ, რადგან ფაქტების ამორჩევა ცნობიერების უშუალო და შუალობითი მონაცემებიდან გვიწევს, ეს ნიშნავს, რომ ფაქტი თავისთავად არ არის გადამწყვეტი ინსტანცია, რომ ჩვენს განკარგულებაში ჯერ კიდევ ყოველგვარ ფაქტებამდე არსებობს რაღაც მზა ფორმები, რაღაც „თეორია“, რომელიც ჭეშმარიტების ძიებისა და პოვნის პირობას წარმოადგენს. მაგრამ რა ნორმები

და რა თეორიაა ეს, საიდან მოვიდა ისინი და რატომ ვენდობით მათ ესოდენ უზრუნველად? ან, იქნებ, სხვაგვარად უნდა დავსვათ კითხვა: მართლაც ფაქტებს ვეძებთ? მართლაც ფაქტები გვჭირდება? ხომ არ წარმოადგენს ფაქტები მხოლოდ საბაბს ან თეჯირს, რომელიც სულის სრულიად განსხვავებულ ინტერესებს ფარავს?

მე ვთქვი, რომ ფილოსოფოსთა უმეტესობა თაყვანს სცემს ფაქტებს, ანუ „გამოცდილებას“, მაგრამ ისეთებიც ხომ იყვნენ (და არცთუ უკანასკნელთა რიგიდან), რომლებიც ხედავდნენ, რომ, უკეთეს შემთხვევაში, ფაქტები მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელიც დამუშავებას ან სულაც გადამუშავებას საჭიროებს და თავისთავად არც ცოდნას იძლევა და არც ჭეშმარიტებას. პლატონი განასხვავებდა **δόξα**[2]-ს **ἐπιστήμη**[3]-ს-გან, არისტოტელესთვის ცოდნა არის ზოგადის ცოდნა. დეკარტი veritates aeternae[4]-დან გამოდიოდა, სპინოზა მხოლოდ თავის tertium genus cognitionis[5]-ს აფასებდა, ლაიბნიცი vérités de fait[6]-ს vérités de raison[7]-ისგან განასხვავებდა და არც საყოველთაოდ იმის განცხადების შეეშინდა, რომ მარადიული ჭეშმარიტებები ღმერთის ცნობიერებაში ისე შევიდა, რომ მისი თანხმობა არ უთხოვია. კანტთან კი ვხვდებით თავისებურად ერთადერთ გულწრფელ აღიარებას, რომ გამოცდილება, რომელიც იმის შესახებ, რაც არის, მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ის არის, მაგრამ არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, რომ ის, რაც არის, აუცილებლობით არის, ცოდნას არ გვაძლევს და არამარტო არ გვაკმაყოფილებს, არამედ ჩვენს გონებასაც აღიზიანებს, რომელიც ხარბად ეძებს საყოველთაო და აუცილებელ დასკვნებს. აღიარება, განსაკუთრებით, „გონების კრიტიკის“ ავტორის ბაგეთაგან[8], ისეთია, რომ მისი მნიშვნელობის გადაჭარბება რთულია. გამოცდილება იმიტომ

2. შეხედულება (ბერძნ.).

3. ცოდნა (ბერძნ.).

4. მარადიული ჭეშმარიტებები (ლათ.).

5. შემეცნების მესამე სახეობა (ლათ.).

6. ფაქტის ჭეშმარიტება (ფრ.).

7. გონების ჭეშმარიტება (ფრ.).

8. იგულისხმება იმანუელ კანტი და მისი ნაშრომი „წმინდა გონების კრიტიკა“ – მთარგმნელი.

გვაღიზიანებს, რომ ცოდნას არ იძლევა: ის, რაც „გამოცდილებას“ ან „ფაქტებს“ მოაქვს ჩვენთვის, ცოდნა არ არის, ცოდნა გამოცდილებისა და ფაქტებისგან სრულიად განსხვავებული რამაა, და მხოლოდ ისეთი ცოდნა, რომელსაც, რამდენიც უნდა ეძებოთ, ვერც გამოცდილებაში და ვერც ფაქტებში იპოვით, არის ის, რისკენაც გონება, pars melior nostra[9], მთელი თავისი ძალებით მიისწრაფვის.

შეკითხვების მთელი რიგი წარმოიშვება, რომლებიც ერთი მეორეზე შემაშფოთებელია. უპირველეს ყოვლისა, თუ ეს ასეა, მაშინ რით განსხვავდება კრიტიკული ფილოსოფია დოგმატურისგან? ნუთუ tertium genus cognitionis და ლაიბნიცის vérités de raison, ის მარადიული ჭეშმარიტებები, რომლებმაც ღმერთის ცნობიერებაში ისე შეაღწია, რომ მისი თანხმობა არ უთხოვია, კანტის აღიარების შემდეგ თავის ყველა, საუკუნოვანი ტრადიციით კურთხეულ უფლებას არ აღიდგენს? კრიტიკულმა ფილოსოფიამ კი არ გადალახა, არამედ მხოლოდ საკუთარ თავში გარდაქმნა და დაფარა ის, რაც კრიტიკულის წინა ფილოსოფიის შინაარსსა და სულს წარმოადგენდა. შეგახსენებთ არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან და ისტორიკოსების მიერ ყურადღების გარეშე დატოვებულ შეჯახებას ლაიბნიცსა და იმ დროს უკვე განსვენებულ დეკარტს შორის. თავის წერილებში დეკარტს არაერთხელ გამოუხატავს რწმენა, რომ მარადიული ჭეშმარიტებები დასაბამიდან და საკუთარი ნებელობით კი არ არსებობს, როგორც ეს მათი მარადიულობიდან გამომდინარე უნდა იყოს, არამედ ღმერთის მიერაა შექმნილი, როგორც ყველაფერი, რასაც რეალური და იდეალური ყოფიერება გააჩნია. დეკარტი წერდა: თუ მე ვამტკიცებ, რომ ვერ იარსებებს მთა ველის გარეშე, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ სხვაგვარად მართლაც შეუძლებელია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა ისეთი გონება მომცა, რომელსაც არ შეუძლია, ველი არ ივარაუდოს მაშინ, როდესაც მთის შესახებაა საუბარიო. როდესაც ბეილს[10] ეს სიტყვები მოჰყავს, აღია-

9. ჩვენი საუკეთესო ნაწილი (ლათ.).

10. პიერ ბეილი (1647–1706) – ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და ლექსიკოგრაფოსი. ბეილი რელიგიური შემწყნარებლობის ცნობილი დამცველი იყო, ხოლო მისმა სკეპტიკურმა ფილოსოფიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროპული განმანათლებლობის ეპოქაზე – მთარგმნელი.